

თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 24548,1 ათ. ლარით. მათ შორის: გადასახადების გეგმა - 20225,8 ათ. ლარით საიდანაც დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა შეადგენს - 14425,8 ათ. ლარს, ქონების გადასახადი - 5800,0 ათ. ლარი; გრანტების გეგმა განისაზღვრება 280,0 ათ. ლარით - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად; სხვა შემოსავლების გეგმა - 3292,3 ათ. ლარით; არაფინანსური აქტივების კლებიდან იგეგმება - 750,0 ათ.ლარი.

2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობები (24548,1 ათ.ლარი) ხარჯვით ნაწილში დაიგეგმა პრიორიტეტების გათვალისწინებით და მუხლობრივად ნაწილდება შემდეგი სახით: ხარჯები განისაზღვრება - 18899,10 ათ. ლარით, რომელიც მოიცავს შრომის ანაზღაურებას, საქონელი და მომსახურებას, პროცენტებს, სუბსიდიას, გრანტებს, სოციალური უზრუნველყოფას და სხვა ხარჯების მუხლებს. არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრება - 5298,65 ათ.ლარით, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, წყალმომარაგების ღონისძიებები, არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციისათვის (მ.შ. სკოლამდელი აღზრდის შენობები, და სხვა.), და სხვა. ვალდებულებების კლების მუხლი განისაზღვრება - 350,35 ათ. ლარით, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის ძირის დაფარვისათვის.

საქონელი და მომსახურება 4738,35 ათ.ლარი - აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება როგორც თვითმმართველობაში შემაჯავალი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები (მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება), აგრეთვე, სახელშეკრულებო წესით შესასრულებელი სხვადასხვა სახის მიმდინარე სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა - მუნიციპალიტეტში არსებული გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობის და ელექტროენერჯის ღირებულების ხარჯები - 900,0 ათ. ლარით; წყალმომარაგების სისტემის მიმდინარე შეკეთების და ელექტროენერჯის ღირებულების ხარჯები - 900,0 ათ. ლარით, სხვადასხვა მიმდინარე სამუშაოს განხორციელების ხარჯები - 30,0 ათ. ლარით; მუნიციპალიტეტის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიებების ხარჯები - 830,0 ათ. ლარით; საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯები - 390,0 ათ. ლარით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა- პატრონობა - 70,0 ათ. ლარით; საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 18,5 ათ. ლარით, ბუნებრივი წყლების ლაბორატორიული შემოწმების ხარჯები - 6,0 ათ. ლარით, ჩამდინარე წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 70,0 ათ. ლარით, გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 100,0 ათ. ლარით; სასმელი წყლის „სოკო“-ს მოვლა-შენახვის ხარჯი - 3,0 ათ. ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრის და ვარჯის ფორმირების სამუშაოებისათვის - 25,0 ათ.ლარი; მაწანწალა ცხოველებისაგან (უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლები) მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები - 25,0 ათ.ლარი; სპორტის განვითარების ხელშეწყობის, კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის, მეგლთა დაცვის ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 202,35 ათ. ლარით და სხვა. აღნიშნული მუხლის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე „სარეზერვო ფონდი“, რომელიც განისაზღვრება - 100,0 ათ. ლარით და ხარჯვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. პროცენტების მუხლი განისაზღვრება - 85,55 ათ. ლარით, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის პროცენტის დასაფარად. სუბსიდიების მუხლი განისაზღვრება - 8988,9 ათ. ლარით, საიდანაც თვითმმართველობა სუბსიდირების სახით აფინანსებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, პროფესიულ განათლებას, კულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, აგრეთვე აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, სუბსიდირების მუხლით ხდება სოციალური მიმართულებით გათვალისწინებული უფასო კვების პროგრამის დაფინანსება და სხვა სახის ღონისძიებებს. სოციალური

უზრუნველყოფის მუხლით განსაზღვრული თანხა - 1597,9 ათ. ლარი ძირითადად, დიდი ნაწილი განკუთვნილია სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის - მ.შ. მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა სხვადასხვა ფენების ელექტროენერჯის გადასახადზე თანადაფინანსებისათვის, სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების პროგრამის დაფინანსებისათვის, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა შვილების დახმარებისათვის, სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა სახით დახმარებისათვის, ახალშობილი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის და სხვა. სხვა ხარჯების მუხლიდან - 635,9 ათ. ლარის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფსადების რეაბილიტაციის განსახორციელებლად თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება (308,9 ათ. ლარი), სპორტის, კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების, ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად (127,3 ათ. ლარი), აგრეთვე, საკრებულოს დეპუტატების უფლებამოსილების განსახორციელებლად ხარჯების დაფინანსებისათვის 70,0 ათ. ლარი და სხვ.

ამრიგად, თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯების ნაწილი განისაზღვროს **24548,1** ათ. ლარით. **აქედან: შემოსავლები განისაზღვროს 23798,1 ათ.ლარით:**

მ.შ დამატებული ღირებულების გადასახადი – 14425,8 ათ.ლარით;

ქონების გადასახადი 5800,0 ათ.ლარით;

გრანტები 280,0 ათ.ლარით:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 280,0 ათ.ლარი.

სხვა შემოსავლები 3292,3 ათ.ლარით:

- შემოსავლები საკუთრებიდან 682,1 ათ.ლარით: მ.შ.
 - პროცენტიდან მიღებული შემოსავალი - 350,0 ათ.ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 250,0 ათ.ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 82,1 ათ.ლარი;
- შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან 1624,1 ათ.ლარი: მ.შ.
 - ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 1586,05 ათ.ლარი (მ.შ. 1334,0 ათ.ლარით განისაზღვროს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, 200,0 ათ.ლარით ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, სანებართვო მოსაკრებელი 50,0 ათ. ლარით, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი 0,05 ათ.ლარით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 2,0 ათ.ლარით.)
 - შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 38,0 ათ.ლარით
- ჯარიმები, სანქციები და საურავები 970,0 ათ.ლარი;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 16,15 ათ.ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება 750,0 ათ.ლარით:

მ.შ.ძირითადი აქტივები -50,0 ათ. ლარი;

არაწარმოებული აქტივები (მიწა) 700,0 ათ.ლარით.

- გადასახდელები განისაზღვროს **24548,1** ათ.ლარით;

აქედან: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება განისაზღვროს 4585,9 ათ.ლარით მ.შ. სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური 145,0 ათ.ლარი;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -8889,3 ათ. ლარი (იხ.დანართი №2)

განათლების დაფინანსება განისაზღვროს 4900,0 ათ.ლარით მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად (ინფრასტრუქტურული ღონისძიებისთვის გათვალისწინებული არაფინანსური აქტივების ზრდის ჩაუთვლელად (იხ.დანართი №2))

-სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება 4800.0 ათ.ლარი;

-პროფესიული განათლების ხელშეწყობა (აიიპ,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-ს დაფინანსება) 100,0 ათ.ლარით.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღვროს 3780,3 ათ.ლარით

-სპორტის სფეროს განვითარება - 1541,0 ათ.ლარი (მ.შ. არაფინანსური აქტივების ზრდა):

სპორტული ღონისძიებები - 76,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ-თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება-185,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“- 252,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“ – 674,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“-354,0 ათ.ლარი;

- კულტურის სფეროს განვითარება -2092,8 ათ.ლარი (მ.შ. არაფინანსური აქტივების ზრდა);

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი - 120,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო

დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის №1 სამუსიკო სკოლა – 120,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა– 108,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდლის სამუსიკო სკოლა“ – 120,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. აკურის სამუსიკო სკოლა“ – 54,5 ათ.ლარი

ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. რუისპირის სამუსიკო სკოლა“ – 64,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ „თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა“ – 90,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ – 288,3 ათ.ლარი

ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - 993,0 ათ.ლარი

ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება „ნადიკვარი“- 60,0 ათ.ლარი

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა - 75,0 ათ.ლარი

- ახალგაზრდობის მხარდაჭერა, ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა -146,5 ათ.ლარი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -2392,6 ათ. ლარი (იხ.დანართი №3)

ბიუჯეტის დელეგირებული უფლებამოსილებები

№	დელეგირებული უფლებამოსილებები	ნორმატიული აქტი		თანხა (ათ. ლარი)
		დასახელება	თარიღი და №	
1	2	3	4	5
1	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში	„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი	27.06.07წ.№5069, მუხ.36	130,0
2	მოქალაქეთა (წვევამდელთა) სამხედრო აღრიცხვა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო-სააღრიცხვო და გამწვევი კომისიების ფუნაქციონირებისა და სამხედრო შეკრებათა ჩატარების და მობილიზაციის ხარჯები	1. „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი	17.09.97წ.№860,	145,0
		2. „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი	27.12.06წ. №4196	
		3. „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი	23.06.99წ. №2150 მ	
		4. „ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების დებულების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება	17.03.03წ. №84	
		5. „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება	02.06.2015წ. №247	
3	სამამულო ომის მონაწილეთა და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვისათვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა დაკრძალვისათვის	„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მემორთა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი,	27,10,2000წ. №581	5,0
		„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“- საქართველოს კანონი	06,02,2014, 1982-Iის	
	ჯამი			280,00

ინფრასტრუქტურული ღონისძიებები - 8889,3 ათ. ლარი

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 1902,00 ათ. ლარი,
მ. შ.
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტსაფარიანი გზების ორმოული შეკეთება 300,0 ათ. ლარი (თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებულია და აუცილებელ აღდგენით სამუშაოებს მოითხოვს რიგი მოასფალტებული ქუჩები, კერძოდ, ორმოული შეკეთება განხორციელდება სავარაუდოდ 10000 კვ.მ. ფართზე, (ალაზნის გამზირზე, კავკასიონის ქ. ორაგუბის ქ. ახვლედიანის ქ. სოფლებში - აკურა, ბუმეტი, იყალთო, ართანა და სხვ.);
 - საგზაო ნიშნების, ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგების და მოვლა-პატრონობის, ქუჩების ჰორიზონტალური მონიშვნა - 50,0 ათ. ლარი;
 - შუქნიშნების მოვლა-პატრონობა - 20,0 ათ. ლარი;
 - ზამთრის პერიოდში ქუჩების და ტროტუარების თოვლისგან გაწმენდის ღონისძიებები- 20,0 ათ. ლარი
 - 2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება და სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება - 413,0ათ. ლარი (სოფლების - წინანდლის, ქვ.ხოდამენის, ნაფარეული, შალაურის, სანიორეს, ფშაველის, გულგულის, თეთრწყლების);
 - გზებზე შემზღუდავი ბარიერების მოწყობა - 50,0 ათ. ლარი;
 - პანდუსების მოწყობა (პარკ ნადიკვართან, მუნიციპალიტეტის მერიის შენობასთან და სხვა.)- 15,0 ათ.ლარი
 - ქ.თელავში ტროტუარების რეაბილიტაცია (მ.შ. ქ.თელავში ჭავჭავაძის ქ.-ზე ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) – 60,0 ათ.ლარი
 - გზების რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტის სრული დაფინანსებით- 974,00 ათ. ლარი გრიბოდოვის ქ. და მეგობრობის ქ. და სხვ. რეაბილიტაცია. აგრეთვე სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ღირ-ბა).
2. ბინათმშენებლობის ღონისძიებები - 308,9 ათ. ლარი
მ. შ.
 - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება - 250,0 ათ. ლარი, აღნიშნულით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებში ამხანაგობების ინიციატივით სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვ. ღონისძიებების თანადაფინანსება საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად.
 - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ქეთევან წამებულის ქ. N5, N7 და N9) ფასადების სარეაბილიტაციოდ 2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურებისათვის გათვალისწინებულია - 58,9 ათ. ლარი, პროექტი რომლის განხორციელება დაწყებულია 2019 წელს და დასრულდება 2020 წელს.
3. გარე განათების რეაბილიტაცია/მოწყობა და ექსპლოატაცია - 1162,5 ათ. ლარი
მ.შ.
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ტექნიკური მომსახურება - 220,0 ათ. ლარი, ხოლო გახარჯული ელ. ენერჯის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებულია 680,0 ათ. ლარი.
 - გარე-განათების ქსელების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები საზედამხედველო მომსახურებით – 262,5,0 ათ. ლარი;

4. დასუფთავების ღონისძიებები - 990,0 ათ. ლარი
მ. შ.
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების უზრუნველყოფა - 830,0 ათ. ლარი;
 - ნაგვის ურნების (45 ცალი) და დასუფთავების ღონისძიებების განსახორციელებლად ტრანსპორტის შეძენა - 160,0 ათ. ლარი;

5. ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები - 200,0 ათ. ლარი
მ. შ.
 - არსებული ნიაღვარმიმღებების მოვლა-პატრონობა -70,0 ათ. ლარი
 - ახალი ნიაღვარმიმღებების მოწყობა - 130,0 ათ. ლარი (მოწყობა - 1050 გრძ.მ)

6. ქ. თელავში არსებული სასმელი წყლის „სოკო“ -ს მოვლა-შენახვის ხარჯი - 3,0 ათ. ლარი

7. წყალმომარაგების ღონისძიებები -3077,1 ათ. ლარი
მ. შ.
 - მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთება, რეზერვუარების მოვლა-პატრონობა - 300,0 ათ. ლარი;
 - სასმელი წყლის ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელ. ენერჯის ანაზღაურება - 600,0 ათ. ლარი;
 - ბუნებრივი წყაროების ლაბორატორიული შემოწმება - 6,0 ათ. ლარი;
 - ჭაბურღილების ტექნიკური მომსახურება - 250,0 ათ. ლარი;
 - სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია და სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება - 1883,1 ათ. ლარი (სოფ. ართანაში სათავე ნაგებობის მოწყობა, სოფ. რუისპირში, სოფ. კონდოლში, სოფ. ნასამხრალში, სოფ. ვარდისუბანში, სოფ. ფშაველში და სხვა) მ.შ. 2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება.
 - 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება საზედამხედველო მომსახურებით წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით - 38,0 ათ.ლარი (სოფ.კისისხევში, აკურაში, ვანთაში საქლორატოროების მოწყობა/გამრიცხველიანება)

8. არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები - 18,5 ათ. ლარი.

9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები - 30,0 ათ. ლარი

10. პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 100,0 ათ. ლარი;

11. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 70,0 ათ. ლარი;

12. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრის და ვარჯის ფორმირების სამუშაოების დაფინანსება - 25,0 ათ.ლარი

13. მაწანწალა ცხოველებისგან (უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლები) მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსება - 25,0 ათ.ლარი;

14. ნაპირსამაგრი სამუშაოები - სტიქიის პრევენციის ღონისძიებების განსახორციელებლად 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება საზედამხედველო მომსახურების გათვალისწინებით - 35,9 ათ.ლარი (სოფ. წინანდალში „დოლიაურის ხევი“-ს ნაპირსამაგრი სამუშაოების განსახორციელებლად)

15. მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება - 152,8 ათ.ლარი (2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალური

ტრანსპორტის ა/სადგომის მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება საზედამხედველო მომსახურებით)

16. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები -388,0 ათ.ლარი
 - „მერების შეთანხმების“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თანადაფინანსება - 163,0 ათ. ლარი, (ქ. თელავის N1 ბაგა-ბაღი და სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი).
 - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია - 225,0 ათ. ლარი
მ.შ.
 - 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით განსახორციელებელი ღონისძიებების და საზედამხედველო მომსახურების დაფინანსება - 75,0 ათ.ლარი (სოფ. კურდღელაურში საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფ. აკურის და სოფ. გულგულის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია);
 - სოფ. წინანდალში საბავშვო ბაღის შენობაზე მიშენების სამუშაოების განხორციელების დაფინანსება- 150,0 ათ. ლარი;
17. ძეგლთა დაცვის ღონისძიებები - 173,1 ათ. ლარი;
18. დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა - 210,0 ათ.ლარი პარკ „ნადიკვარზე“ ფანჩარუტების და ტერასების მოწყობა/რეაბილიტაცია.
19. ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია - 17,5 ათ. ლარი
მ.შ.
 - 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით განსახორციელებელი ღონისძიებების თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურების დაფინანსება - 17,5,0 ათ.ლარი (სოფ. ართანაში და სოფ ვარდისუბანში ამბულატორიის მშენებლობა, სოფ. კონდოლის ამბულატორიის რეაბილიტაცია);

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2392,6 ათ.ლარი

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა –130,0 ათ.ლარი
2. ომის მონაწილეთა, სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, დევნილთა და უპატრონო ადამიანთა გარდაცვალებისას სარიტუალო ხარჯების დაფინანსების პროგრამა - 10,0 ათ.ლარი
3. უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება – 545,0 ათ.ლარი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სოციალურად გაჭირვებული ადამიანთა ყოველდღიური კვება.
4. ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის პროგრამა- 425,0ათ.ლარი
5. სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების პროგრამა - 750,0 ათ.ლარი;
6. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებების პროგრამა – 40,0 ათ.ლარი;
7. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 154,3,0 ათ.ლარი (მ.შ. მრავალშვილიანი ოჯახების (სადაც 4 და მეტი 18 წლამდე ბავშვია) ყოველთვიური დახმარება) და ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;
8. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების (18 წლამდე) ყოველთვიური დახმარების პროგრამა 7,8 ათ.ლარი
9. მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის (45,0 ათ. ლარი) და კომუნალური გადასახადების (ელ. ენერჯის) თანადაფინანსების პროგრამა (38,0 ათ. ლარი)- სულ 83,0 ათ.ლარი.
10. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა დახმარების პროგრამა (სამედიცინო პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსებისათვის)- 31,8 ათ.ლარი;
11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა - 80,0 ათ. ლარი (მ.შ. ააიპ „ალტერ ევო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი შემდგომში დასაქმების ხელშეწყობა სარეაბილიტაციო მომსახურების - დაცული სახელოსნოს მომსახურების ამოქმედებით, თანადაფინანსება; „სიდა“-ს (საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია) შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის თანადაფინანსება; ბავშვთა ადრეული განვითარების (მუსიკათერაპია) პროგრამის დაფინანსება)
12. ვეტერანთა საზოგადოება - 4,0 ათ.ლარი;
13. დროებით საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა - 70,0 ათ. ლარი.
14. მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერის ღონისძიებები - 15,0 ათ.ლარი
15. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი (მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები) აღსაზრდელების სტომატოლოგიური მომსახურების და მაღალაკადემიური მოსწრების სტუდენტების (რომლებიც სწავლობენ პროფესიულ სასწავლებელში) მატერიალური დახმარება წახალისების მიზნით - 24,0 ათ.ლარი;
16. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის თანადაფინანსება - 22,7 ათ.ლარი.